დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - კოლეჯი „აისის“ **საგანმანათლებლო პროგრამის -"შედუღება"- მონიტორინგის შესახებ**

(დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ.სამრეკლო)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ციური დურული
წევრი: ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი „აისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 227770800

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

გეგმიური

არაგეგმიური <u>საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში/Secondary Vocational Qualification in Welding
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის № 02-01-121 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო.
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	137
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	167
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
შედუღება	30(პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს-30)	15 ინტეგრირებული	0

IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის პირველი აგვისტოს №653190 და 11 დეკემბრის №1191840 ოქმები) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 იანვრის MES 5 21 0000024038 ბრძანების საფუძველზე, 2021 წლის 29 იანვარს განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ - კოლეჯ „აისის“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში) „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე). მონიტორინგი წარიმართა დისტანციურ რეჟიმში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის განრიგის **(დანართი 1)** მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელთა შორის შედგა დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
მონიტორინგის განრიგის თანახმად, შედგა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალური და ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება და დაწესებულების წარმომადგენელის დახმარებით, მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება; საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება; ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კოლეჯის ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს.

ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა დაწესებულების ადმინისტრაციას.
წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების „შედეგების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის შესაბამისად (ZOOM პლატფორმის გამოყენებით), აღნიშნული პროგრამა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტთან ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე სტანდარტთან „ შესაბამისი“.

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაცია 1. 2.2.1 (1): *C გარემოში წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნაწილი. არ არის შეძენილი ძირითადი შესადუღებელი აპარატურა. კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 08 ივნისის ბრძანება №02- 01-116 „შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვების შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“, სადაც დანართის სახით წარმოდგენილია აღჭურვილობის დასახელებები , გეგმის მიხედვით აჭრურვილობა ადგილზე უნდა იყოს სასწავლო წლის დაწყებამდე შესაბამისად, მიზანშეწონილია სწავლის დაწყებამდე შეძენილ იქნეს აღჭურვილობის ჩამონათვალში კოლეჯის მიერ გაწერილიშედუღების დანადგარები.*

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა „შედუღების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, ასევე, დისტანციური დათვალიერებისას დადგინდა ადგილზე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის (მოწყობილობების/დანადგარების და სხვ.) არსებობა. **შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია**

***რეკომენდაცია*2.2.1.(2):** *პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებული პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია ,,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით". აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.*

დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, ,,მეცნიერების და ტექნოლოგიების“ მოდულის განსახორციელებლად ხელშეკრულებით აიყვანა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წაიკითხავს საკითხებს გეოგრაფიის მიმართულებით. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა გეოგრაფიის კომპონენტის განმახორციელებელი პირის პირადი საქმე, რომლითაც დადასტურდა მისი კვალიფიკაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია ყველა საჭირო ინფორმაცია - მოდულის სახელწოდება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და სხვ. **შესაბამისად, რეკომენდაცია შესრულებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ არის

IX. რეკომენდაციების შეჯამება

არ არის

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 30 სტუდენტი იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია - 30 სტუდენტი. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე გამოცხადება გააკეთეს ერთ ჯგუფზე (15 ადგილი). <u>მიმდინარე ეტაპზე სწავლა მიმდინარეობს ინტეგრირებული გეგმით.</u> ჯგუფში ირიცხება 15 პროფესიული სტუდენტი.

2020 წლის 2 ივლისს, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, **კოლეჯს არ ჰქონდა შესყიდული** „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო **მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აღნიშნული საკითხი გახდა **მონიტორინგის განხორციელების საფუძველი.**

აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა შეისყიდა „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ზემოაღნიშნული მატერიალურ - ტექნიკური რესურსი და მონიტორინგის მიზნებისთვის ცენტრში წარმოადგინა რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



-მიღება-ჩაბარების აქტები;
-საგადასახადო მოთხოვნები;
-სასაქონლო ზედნადები.

აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება პროგრამით განსაზღვრული აღჭურვილობის შესყიდვები. კოლეჯის მიერ შესყიდულ იქნა შემდეგი დანადგარების კომპლექტები:

- Stick შემდუღებლები - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე;
- MIG შემდუღებელი - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე;
- Full ფუნქციის TUG შემდუღებლები - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე;
- ინდუსტრიალურიმულტი-პროცესულიშედუღებისნაკრები - 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე;
- პლაზმურიჭრისმექანიზმები- 1 ნაკრები სასწავლო გარემოზე;
- კედელზე მისამაგრებელი ბოლის გამწოვი.

კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. ვიზუალურად დათვალიერებისას შემოწმდა სამივე გარემოში არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. A და B გარემოში არსებული მატერიალური რესურსი(ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვ.) შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. გათვალისწინებულია ის მოთხოვნები, რომელიც დადგენილია პანდემიის პირობებში სწავლის განხორციელებასთან დაკავშირებით. **ხაზგასასმელია ის ფაქტი,** რომ პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, შესაბამისად, პროგრამას არ აქვს გარე პრაქტიკის ობიექტი და პროგრამის პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის გათვალისწინებულია C გარემო. C გარემოში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული, შეძენილი, ძირითადი შესადუღებელი აპარატურა/დანადგარები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. გამოკრულია უსაფრთხოდ მუშაობის სურათები.

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელების პირობებში.</u>

2. საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორმა და პროგრამის ხელმძღვანელმა მოგვაწოდეს ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ. პროგრამას განახორციელებს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულების სწავლებას ახორციელებს 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, რომლებითაც დასტურდება რომ მათ აქვთ პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტისას, აგრეთვე, შედგა დისტანციური ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან. ინტერვიურებისას, პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება. კოლეჯის გამოცდილი პერსონალი ეხმარება იმ პირებს, რომელთაც არ აქვთ მოდულური პროგრამის სწავლების გამოცდილება; ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, როგორც შეფასების ინსტრუმენტების შედგენის საკითხებში, ისე პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებში. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი ჩართული იყო ინტეგრირებული სწავლების განხორციელებაში, საპილოტე რეჟიმში. ინტეგრირებული მოდულებისათვის პირები შერჩეულნი არიან 2017 წელს, მათ გავლილი აქვთ ტრენინგები გაეროს პროგრამის ფარგლებში და აღარ გახდა მათი ხელახლა აყვანის საჭიროება.

დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ, ,,მეცნიერების და ტექნოლოგიების“ მოდულის განსახორციელებლად, ხელშეკრულებით აიყვანა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც წაიკითხავს საკითხებს გეოგრაფიის მიმართულებით. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა გეოგრაფიის კომპონენტის განმახორციელებელი პირის პირადი საქმე, რომლითაც დადასტურდა მისი კვალიფიკაცია. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია ყველა საჭირო ინფორმაცია - მოდულის სახელწოდება, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და სხვ. დარგობრივი მოდულის განმახორციელებელმა პირმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ის გაეცნო კოლეჯის მიერ შეძენილი დანადგარების უსაფრთხოდ გამოყენების პირობებს, ასევე ინტერნეტში მოიძია გარკვეული მასალები გაცნობის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ, აგრეთვე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებებში გაწერილია იმ მოდულების სახელწოდებები, რომლის განხორციელებასაც მოახდენს პროფესიული განათლების მასწავლებელი. ასევე, ნათლად არის გაწერილი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



<u>დაწესებულების მიერ გათვალისწინებულია წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაწერილი შესაბამისობისა და განვითარების რეკომენდაციები.</u>

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. ვიზიტისას, შემოწმებულ იქნა, პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, მათ შორის ხელშეკრულება და შეთანხმების წერილი, რომელშიც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. ინტერვიურებისას, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით, თუმცა მოდულური მიდგომით სწავლების გამოცდილება პროგრამაში ჩართვამდე არ ჰქონია. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმილია სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით ტრენინგების გავლასთან დაკავშირებით, პერსონალის ხელშწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსი ძირითადად წარმოდგენილია მატერიალური სახით და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი“ (დირექტორის ბრძანება N176. 17.06.2016) და ბიბლიოთეკის კატალოგი. დოკუმენტში „თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (დირექტორის ბრძანება N 02-01-36. 23.07.2016 წ. ცვლილება დირექტორის ბრძანება N 02-01-132 01.07.2020 წ) განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ინტერვიურებისას ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ ბიბლიოთეკით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა, რაც საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტებმა იმუშაონ ადგილზე, ბიბლიოთეკაში და/ან გადაიღონ საჭირო მასალის ასლები.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. კოლეჯის მიერ, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას / მოდულს და წარმოადგენს მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლს შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას (კოლეჯის დირექტორის N 02-01-36 (23.07.2019) ბრძანება ,,სსიპ-კოლეჯის ,,აისის" თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები").

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

მიმდინარე ეტაპზე, ,,შედუღების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, არც ერთი სსსმ პირი არ სწავლობს.

ექსპერტთა მოსაზრებით, სსსმ პირებს ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 59 740 ლარი და ხარჯების ნაწილში - 59 740 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება) -40 290 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული დაფინანსება) – 2 830 ლარი; ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 9 600 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

შესაბამისად, კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია „შედუღების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტები; საგადახდო მოთხოვნები; სასაქონლო ზედნადები);
3. საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსით;
4. პროგრამის განმახორციელებელი პირის პირადი საქმით;
5. პროგრამის ხელმძღვანელის დოკუმენტაციით;
6. პროგრამის ბიუჯეტით;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
8. ინტერვიუირებით კოლეჯის დირექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკართან;
9. საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით პროგრამის A, B და C გარემოს დისტანციურად დათვალიერებით;
10. კოლეჯის ვებგვერდითhttps://www.collegeaisi.ge/.

შეფასება:

☒**შეესაბამება**

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი (1 გვ.)

ქ. თბილისი, 22.02.2021 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: